ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 13/3

თბილისი "13" "იანვარი" 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის - თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „ავთანდილ დუმბაძე" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ავთანდილ დუმბაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10¹ მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" – სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის საკვები პროდუქტების (ობიექტის ერთგვაროვნება 15100000 - ცხოველური პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, 15500000 - რძის პროდუქტები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1285,50 (ერთი ათას ორასოთხმოცდახუთი ლარი და 50 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის სახეობები, რაოდენობა, მახასიათებლები, ერთეულისა და საერთო ფასები წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ N1–ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დანართი #1–ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, 2012 წლის 13 იანვრიდან 2012 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის მისამართზე - დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

4.2. საქონლის ტრანსპორტირებას მიწოდების ადგილამდე უზრუნველყოფს „მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯით.

4.3. საქონლის მიწოდების მოთხოვნას (დანართი #1 გათვალისწინებით) შესაბამისი საქონლის სახეობისა და რაოდენობის მითითებით ადგენს და წერილობით უგზავნის/გადასცემს მიმწოდებელს შემსყიდველის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.4. საქონელი უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს დანართი #1–ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარებას განახორციელებს ხელშეკრულების 15.3. პუნქტით განსაზღვრული პირი.

5.3. საქონლის სრულად მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა(ებ)ს, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით მოთხოვნებს, სასაქონლო ზედნადებებს და ინსპექტირების დასკვნებს დადგენილი წესის მიხედვით შემსყიდველის ცენტრალურ ოფისში - ქ.თბილისი,თამარაშვილის 15ᵃ, მე-3 სართული.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების 15.3. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნების, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული წერილობით მოთხოვნების, სასაქონლო ზედნადებებ(ებ)ისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურ(ებ)ის წარმოდგენის საფუძველზე
(იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

6.4. შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანე 5 დღისა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1.სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს. ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი
მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ

მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესის მიხედვით, შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. მიწოდებული საქონლის რაოდენობის წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი ხელშეკრულების დანართი #1–ით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა.

15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", სამი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	ინდ. მეწარმე „ავთანდილ დუმბაძე"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144	მის: ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. თხილნარი
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „რესპუბლიკა ბანკი"
ა/ა № 200122900	კოდი N REPLGE22
კოდი № TRESGE22	ა/ა №GE48BR0000010948135900
ს/კ № 202465153	ს/კ №61006021715
თამარ ბახარაშვილი დირექტორი	ავთანდილ დუმბაძე ინდ. მეწარმე

დანართი №1

მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი მისამართი: დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.							
N	დასახელება	მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარში)	საერთო ღირებულება (ლარში)	მიწოდების პირობები
1	15111100 საქონლის ხორცი	ხორცი საქონლის, ახალი (გაუყინავი), (ძვალი არაუმეტეს 20%) თოთოეულ მიწოდებულ პარტიას უნდა ახლდეს ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურიდან მისი ვარგისიანობის შესახებ. საქონლის მიწოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.	კგ	60	13,00	780,00	2012 წლის 13 იანვრიდან 2012 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად, მისამართზე: დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.
2	15112100 ქათმის ხორცი	ქათამი ახალი (მთლიანი ქათამი) გასუფთავებული გამოშიგნული, ქათამს თან უნდა ახლდეს შიგნეულობა (ღვიძლი, კუჭი). მთლიანი წონა არანაკლებ 1,2 კგ. თოთოეულ მიწოდებულ პარტიას უნდა ახლდეს ცნობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურიდან) მისი ვარგისიანობის შესახებ ან ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქონლის მიწოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.	კგ	10	7,00	70,00	
3	15541000 ყველი	სუფრის, ახალი და მაღალი ხარისხის.	კგ	3	8,50	25,50	
4	(15542100) ხაჭო	უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 5%–ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არაუმეტეს ნახევარ კილოგრამიან პლასტმასის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები.	კგ	30	6,30	189,00	
5	15512000 არაჟანი	უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების და ქარხნული წესით დაფასოებული არაუმეტეს ნახევარ კილოგრამიან პლასტმასის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები.	კგ	4	4,00	16,00	

6	15530000 კარაქი	უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ნაღების ცხიმიანობა არანაკლებ 72%– ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არანაკლებ 200 გრამიან შეკვრაში, შეკვრაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები.	კგ	5	6,00	30,00	2012 წლის 13 იანვრიდან 2012 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად
7	(15511700) რძის ფხვნილი	უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 2,5%–ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით შეფუთული (დაფასოებული)შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.	კგ	25	7,00	175,00	
		სულ ჯამი:				1285,50 ლარი	

„შემსყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

თამარ მახარაშვილი
დირექტორი

“მიმწოდებელი”
ინდ. მეწარმე „ავთანდილ დუმბაძე“

ავთანდილ დუმბაძე